

9.493

3

მ. ი. ნოდია  
М. Ю. НОДИЯ

610.06  
6-78



# კურორტის უწყისა

## КУРОРТ УЦЕРА



საქართველოს  
თბილისი  
1948

საგარეო . 6 . 8  
საგარეო . 6 . 8

საგარეო . 6 . 8  
საგარეო . 6 . 8

კ 60.148  
2

საგარეო-2000  
საგარეო-2000

საგარეო-2000  
საგარეო-2000  
საგარეო-2000  
საგარეო-2000

## წინასიტყვაობა

უწერა წარმოადგენს ბალნეო-კლიმატურ კურორტს, სადაც მეტად მიზანშეწონილად არიან შეხამებული მაღალხარისხოვანი სამკურნალო საშუალო მთის კლიმატი და ძვირფასი სამკურნალო წყაროები.

უწერა, როგორც სამკურნალო ადგილი, თავისი მინერალური წყაროებით, ცნობილია ძველი დროიდან; მას დიდი ხანია ეტანებიან დაავადებულნი და ჰპოებენ შველას. უწერის ერთ-ერთი მთავარი წყარო № 1 („გვერიტა“) ბორჯომის წყლის ანალოგია. თუ მივიღებთ მხედველობაში უწერის მეტად ხელსაყრელ კლიმატურ პირობებს, ადვილი გასაგები ხდება ის თვალსაჩინო სამკურნალო ეფექტი, რომელსაც იძლევა ეს კურორტი თავისი სამკურნალო ფაქტორებით—მშვენიერი საშუალო მთის კლიმატის და მინერალური წყლების კომპლექსური მოქმედებით, განსაკუთრებით საჭმლის მომწელებელ სისტემაში შემავალ ორგანოთა დაავადებების დროს, რომლებიც ძირითადად ნაჩვენებია არიან სამკურნალოდ კურორტ ბორჯომში.

უწერას უკანასკნელ ხანში უკვე მეტი ყურადღება ექცევა. 1948 წლისათვის გათვალისწინებულია სპეციალური დასასვენებელი სახლის, ჰიდრო-ელექტრო სადგურის, მეტეოროლოგიური სადგურისა და მთელ რიგ სხვა დამხმარე ნაგებობათა მშენებლობა.

ამ ნაშრომში შევეცადე შემეკრიბა უწერის შესახებ არსებული მასალები და გადმომეცა მკითხველისათვის მათი მოკლე შინაარსი.

ვიმედოვნებ, რომ იგი ცოტაოდენ სამსახურს მაინც გაუწევს როგორც საკურორტო მუშაკებს, ისე ფართე საზოგადოებას, კუროტ უწერის შესახებ არსებულ მასალების გაცნობაში და მისი სამკურნალო ფაქტორების რაციონალურად გამოყენების საქმეში.

ავტორი

## კურორტი უწერა

კურორტი უწერა მდებარეობს ონის რაიონში 1042 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია  $42^{\circ} 39'$ , სიგანედი და  $43^{\circ} 32'$ , სიგრძედი.

კურორტის ტერიტორია მოთავსებულია მდ. რიონის ხეობაში ქალაქ ქუთაისიდან 130 კილომეტრის დაშორებით, ხოლო მის ზევით კი მამისონის უღელტეხილის მიმართულებით 16 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს განსაკუთრებული მნიშვნელობის მაღალმთიანი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი შოვი (1600 მეტრი ზღვის დონედან). ოსეთის სამხედრო გზა, რომელიც მიიმართება ქუთაისიდან უწერისაკენ, სჭრის კურორტის ტერიტორიას და შემდეგ კურორტ შოვზე და მამისონის უღელტეხილზე გავლით გადადის ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს მთელ მანძილზე თვალწარმტაცი სილამაზის გზა ქუთაისიდან უწერამდე მდ. რიონის თანამგზავრია.


უწერა პატარა სოფელია (250 კომლი), შედის თანამოსახელე სოფლის საბჭოში. კურორტი მოთავსებულია მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე. კურორტის განკარგულებაშია ძლიერ უმნიშვნელო საბინაო ფონდი — სულ 5 სახლი 28 ოთახით და ამის გამო სამკურნალოდ ჩამოსული ავადმყოფები ძირითადად თავსდებიან კოლმეურნეთა სახლებში.

უწერას აქვს კოოპერატიული სავაჭრო და სასადილო. კურორტის გარშემო ~~გამწილი~~ მთის საძოვრები ხელსაყრელ პირობებს უქმნიან საქონლის ფერმების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ კურორტს მაღალხარისხოვან რძის ნაწარმით. თვით სოფელშიც იშოვება, როგორც სხვადასხვა სახის რძის ნაწარმი, ისე სხვა საჭირო სურსათ-სანოვაგე (კვერცხი, ქათამი, თაფლი, ხორცი და სხვა).

უწერაში არის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, სამკითხველო, წიგნის მაღაზია, სრული საშუალო სკოლა, აფთიაქი.

1938 წელს უწერაში ააგეს კურორტის პოლიკლინიკის შენობა, რომელშიაც მოთავსდა აფთიაქი, კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია და ძირითადი კაბინეტები. ეს პოლიკლინიკა საკმარისად უზრუნველყოფს, როგორც კურორტის ავადმყოფებსა და დამსვენებლებს, ისე ადგილობრივ მოსახლეობას.

უწერა ჯერჯერობით არაა კეთილმოწყობილი. არა აქვს კანალიზაცია, წყალსადენი, ელექტროფიკაცია და სხვა. მიუხედავად ამისა, მისი, როგორც კურორტის მნიშვნელობა მეტად დიდია.



მდინარე რიონის ხეობა უწერის მიდამოებში

კურორტი მოთავსებულია მთავარ კავკასიონის სისტემაში შემაჯალ შოდა-კედელას ქედის სამხრეთ კალთებზე. ეს ქედი დაშორებულია უწერისაგან ჩრდილოეთ მიმართულებით 40—50 კილომეტრის მანძილით და იცავს კურორტს არქტიკული ცივი ჰაერის მასებისაგან.

თვით კურორტის ტერიტორია აღწევს სიგრძით ერთ კილომეტრს და სიგანით კი დაახლოვებით ნახევარ კი-

ლომეტრს. აღნიშნული ტერიტორია მდ. რიონის მარცხენა მხარეზე უშუალოდ გალადის უნარმაზარ მთაგრეხილებზე, რომლებიც დაბურული არიან წიწვიანი ტყეებით, ხოლო მდ. რიონის მარჯვენა მხარეს კი კურორტს აკრავს შერეული ტიპის წიწვიან-ფოთლოვანი ტყეები, რომელთა იქით მოჩაბს უმაღლესი მთის მწვერვალები, მუდმივი თოვლით დაფარულნი, რაც ამდიდრებს კურორტს ანარეკლი ულტრა-იისფერი ინსოლაციით და იზიდავს აუარებელ ტურისტთა და ექსკურსანტთა ყურადღებას.

კლიმატი ხასიათდება განსაკუთრებული დადებითი მაჩვენებლებით, ოზონირებული ჰაერით, უხვი ინსოლაციით (2200—2300 საათი წლის განმავლობაში), ღრუბლიანი და წვიმიანი დღეების სიმცირით, ჰაერის ზომიერი მოძრაობით, რაც უზრუნველჰყოფს კურორტის ტერიტორიის სათანადო ვენტილაციას და ჰაერის ზომიერ ტემპერატურას ზაფხულის თვეებში, (ზაფხულის საშუალო ტემპერატურა ირხევა 18° ფარგულებში, საშუალო წლიური ტემპერატურა კი +9° ფარგლებში), ყველაფერი ეს და აგრეთვე მშრალი ზომიერი ზაფხულის სიტბოს ბალანსი, თბილი ხანგრძლივი შემოდგომა უწერას ხდის მაღალხარისხოვან მთის კლიმატურ კურორტად.

## მოკლე ისტორიული ცნობები

უწერა თავისი სამკურნალო წყლებით შორეულ წარსულიდანვე იპყრობდა ახლო მოსახლეთა ყურადღებას. ბუმბერაზი ბუნებით, წიწვიანი ტყეებით დაფარული მთა-გრეხილები და თოვლიანი მწვერვალების ულამაზესი პანორამით, უწერამ სამართლიანად დაიმსახურა მაღალხარისხოვანი ბალნეო-კლიმატიური კურორტის სახელწოდება.

უწერას სამკურნალო წყლები და სასუნებელი მიწა ცნობილი და გამოყენებული ყოფილა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ამის დასადასტურებლად საკმარისია დავასახელოთ სახელოვანი ქართველი მეცნიერის—ვახუშტი ბაგრატიონის



ცნობა და აგრეთვე გერმანელი მეცნიერის—აკადემიკოს ან. გიულდენშტედტის შრომა. გიულდენშტედტი რუსეთის აკადემიის მიერ მოვლინებული იყო ამიერ-კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მინერალური წყლების შესასწავლად 1771 წელს. იგი ხაზს უსვამს უწერის სხვადასხვა მინერალურ წყალთა შორის ტუტოვან და რკინოვან წყლებს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აქ სხვადასხვა ტიპის წყლების გამოსასვლელების ერთმანეთის გვერდით არსებობას და აღნიშნავს, რომ მთელ რიგ ქრონიკულ დაავადებათა სამკურნალოდ საჭიროა ორივე ტიპის წყალი იქნას გამოყენებული—ჯერ ტუტოვანი და შემდეგ რკინოვანი. ამავე მეცნიერის ცნობით ადგილობრივი მცხოვრებლები იმ დროს უწერის ტუტე წყლებს იყენებდნენ სასმელად მტკნარი წყლის მაგიერ და ხმარობდნენ პურის მოსაზეულადაც.

როგორც ცნობილი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი, ისე აკადემიკოსი გიულდენშტედტი, აღნიშნავენ უწერაში სასუნებელი მიწის არსებობას და მის სამკურნალოდ გამოყენებას.

ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „ონის პირისპირ რიონის ჩრდილოთ, მთის კალთასაშინა მალლა არს ძეგლვეი.. ამას ზეით არს დაბა უწერა რიონის ორსავე კიდესა ზედა... აქავ არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად, რომელი დავაწერეთ ქართლსაცა, არამედ ვსე უკეთეს ძალიანი, რამეთუ გარდაფრენილი ფრინველი მასზე ჩამოვარდების სუნისაგან“.

აკადემიკოს გიულდენშტედტსაც აღნიშნული აქვს; რომ „უწერას სამკურნალო წყლების გარშემო „იის სუნი იდგა“, მეტადრე იქ, სადაც ახალი ორმოები იყო ამოთხრილი, ადგილობრივი მცხოვრებლები მათ ორთქლს ქარებისა და ართრიტის წინააღმდეგ ხმარობდნენ. ამისათვის ისანი ორმოებს სთხრიან, შიგ ლერწმის ლულას სდებენ, რომლითაც ჰაერი შედის, მაგრამ „ბევრნი ამისაგან გიჟდებიან, ან ასოთა სპაზმური თრთოლა ემართებათ“.



უწერაში დღესაც არსებობს ეს „სასუნებელი მიწა“<sup>1</sup> „მეავე წყლის“ მახლობლად. ამ მიწიდან ამოდის თავისებური სუნის გაზი. ადგილობრივი მცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ ამ მიწის სასუნთქებლად უწინ აუარებელი ხალხი ჩამოდიოდა უწერაში და იმავე წესით, როგორც ეს მოხსენებული აქვს აკადემიკოს გიულდენშტედტს (ამოთხრილ ორმოდან ლერწამის მილის საშუალებით), ჩაისუნთქავდნენ მიწიდან ამომავალ გაზს და განიკურნებოდნენ თავის საშინელი ტკივილებისაგან, ქარებისაგან და მთელ რიგ სხვა დაავადებთაგან. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ოთხიოდე ათეულ წლის წინად უწერაში სამკურნალოდ ჩამოსულ გლეხს მიუყვანია თავისი ავადმყოფი ცოლი ამ სასუნებელ მიწასთან. როცა პირქვედამხობილი ქალი სუნთქავდა მიწას, ქმარს ზევიდან გადაუფარებია საბანი. ერთი საათის განმავლობაში სუნთქვით ქალი გაგუდულა და იქვე გარდაცვლილა. ამ შემთხვევას გამოუწვევია შემდეგში სასუნებელი მიწით უკვე უფრო იშვიათი და ფრთხილი სარგებლობა<sup>2</sup>.

უწერაში მდ. რიონზე გასასვლელ ხიდთან არსებობს მეორე მიწა, რომლის ახლომახლო მცენარე ვერ ხარობს. ამ მიწიდანაც ამოდის გაზი. ადგილობრივ მცხოვრებლებს ამ ადგილზე ხშირად უნახავთ მკვდარი ფრინველი; გადმოცემით ცნობილია, რომ აუ ამ მიწასთან რომელიმე ფრინველი მიფრინდა, ის აუცილებლად დაიღუპება.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოში მინერალური წყლები დიდი ხანია ყოფილა გამოყენებული სამკურნალო მიზნით, პირველ რიგში აბაზანების სახით, მაგრამ ამავე დროს სამკურნალო წყლებს სასმელადაც ხმარობდნენ. ასეთი შინაგან და ღანიშნულების წყლები ორ მთავარ ჯგუფს მიეკუთვნე-

<sup>1</sup> ნიადაგი გაყენთილი მინერალური წყლით შეიცავს გაზს CO<sub>2</sub> (ნახშირმჟავას), რომელსაც ავადმყოფები იყენებენ სამკურნალო მიზნით შესუნთქვის სახით.

<sup>2</sup> ზოგიერთი ცნობები ამოღებულია დოკ. გ. ადამიას შრომიდან კურორტ უწერას შესახებ. შრომების კრებული № 1—კურორტოლოგიის ინსტიტუტის გამოცემა 1936 წ.

ბოდნენ: <sup>1</sup> ერთს—მომნებელ ორგანოს—კუჭ-ნაწ-  
ლავების დაავადებისაგან განსაკუთრებლად მიჩნეული  
შეადგენდნენ ე. ი. „მომნობნი და მომნებელნი“  
წყლები, რომელნიც საჭმელის მონებლას შველოდენ.  
ასეთის თვისების წყლებად მიჩნეული ყოფილან „არ-  
ჯევანის მთის თხემებზე მყოფი, ფარავნის ტბასთან  
მდებარე ვეძას, სიონსა, კობსა და უწერაში გამომ-  
დინარე წყლები“.

რკინოვანი წყლები „სიონსა, კობსა და უწერა-  
ში“ ცნობილი ყოფილა მაშინ.

მეორეს მხრივ ცნობილი ყოფილა „ნივეთიერებათა  
გაცვლა-გამოცვლის“ დაავადებათა განმკურნებელი  
წყლები: დბანისის წყარო, მიჩნეული ყოფილა თირკ-  
მელისა, შარდ-სადინარი გზებისა და ამ ორგანოთა  
ქვების დამშლელ საშუალებად, დიდ-გორის წყარო კი  
ითვლებოდა ქრონიკული მალარიის ნიადაგზე წარმოშო-  
ბილი ღვიძლის დაავადების განმკურნებელ საშუალე-  
ბად.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს „სა-  
სუნებელი მიწის“ ხმარებას „ხვწის მახლობლად ლიახ-  
ვის ვაღმა, უწერასა და ონში“, როგორც ძველ დროი-  
დან საქართველოში ინჰალაციის სამკურნალოდ გამო-  
ყენების ჩანასახს.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს აგ-  
რეთვე, რომ ვახუშტი ბაგრატიონისა და  
აკად. ან. გიულდენშტედტის თხზულებაებში  
იხსენიება საქართველოში ძველად ცნობილი სამკურნა-  
ლო წყლების მხოლოდ მცირე რიცხვი და იქ შეტა-  
ნილია ცნობები მხოლოდ განთქმული სამკურნალო  
წყლების შესახებ.

ღირსშესანიშნავია ის მდგომარეობა, რომ ძველად  
საქართველოში განთქმულ სამკურნალო წყლებს შო-  
რის ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი დათმობილი  
ჰქონია უწერის სამკურნალო წყლებს და ისინი ძველ  
დროიდანვე ყოფილან ცნობილი, როგორც საუკეთესო

<sup>1</sup> აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი — ბალნეოლოგიური და ინჰა-  
ლაციური მკურნალობა საქართველოში, თბილისი 1935 წ.

სამკურნალო საშუალება საქმლის მომნელებელ ორგანოთა დაავადების დროს.

ძველ ისტორიულ ნაშთებიდან უწერაში აღსანიშნავია კურორტის დასასვენებელ ეზოში არსებული თამარ მეფის დროის ძველი ეკლესიის ნანგრევები და მდ. რიონის მარცხენა მხარეს მინერალური წყლის სამხრეთით ნახევარ კილომეტრის მანძლზე მთის მწვერვალზე ლამაზი წიწვიანი ხეებით გარშემორტყმული ძველი კოშკის ნანგრევები, რომლის არსებობას თამარ მეფის დროს უკავშირებენ.

### მინერალური წყლები


მაღალ სამკურნალო თვისების მთის კლასატთან ერთად უწერის ძირითად და მთავარ კურორტთერაპიულ ფაქტორად ითვლება მისი უხსოვარ დროიდან ცნობილი მინერალური წყლები. ამ წყლების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები დამოკიდებულია იმ გეოლოგიურ ფენების სტრუქტურაზე, რომლებშიაც მათ უხდებათ მოძრაობა.

კურორტ უწერის ზონაში სულ აღრიცხულია თვრამეტადრე მინერალური წყარო; მინერალური წყაროების გამოსასვლელები მდებარეობენ მდინარე რიონის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მხარეზე. ნაწილი ამ წყაროებისა აღრიცხულია უწერას ქვემოლ მდ. რიონის შენაკადთა ხეობებში ქ. ონის მიმართულებით.

თავიანთი ქიმიური შემადგენლობით მდ. რიონის მარცხენა და მარჯვენა ნაპირის მინერალური წყლები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

რიონის მარცხენა ნაპირის მინერალური წყაროების მთავარი წარმომადგენელია წყარო № 1 ეგრედწოდებული „გვერდითა“ ან კუჭის წყალი (ყოფ. გამყრელიძის წყარო). ეს ის წყაროა, რომელმაც პირველმა მოუპოვა უწერას კურორტის სახელი. ამ წყაროს გამოსავალი მდებარეობს ხვარის მთის ფერდობზე ზღვის დონედან 1080 მეტრის სიმაღლეზე. მინერალური გაზიანი წყალი ამოდის კლდიდან თავისებური გრიალით და გროვდება გათლილ ქვის აუზში, რომლიდანაც მომხმარებლები ონკანის საშუალებით ღებულობენ წყალს. წყარო

თავის აუზით მოთავსებულია დახურულ ქვის შენობა-  
ში, რომლის გვერდით აგებულია ლამაზი ფარდული სა-  
ჯღომებით. აქ ავადმყოფები ღებულობენ წყალს და თან  
ისვენებენ. კურორტის საცხოვრებელ ბინებიდან წყარო  
№ 1-დე 10—12 წუთის სასიარულო გზაა; მდ. რიონის  
ხიდზე გასვლის შემდეგ წყაროსკენ მიიმართება მალ-  
ლა დაკლაკნილი ბილიკი, რომლის გვერდით გზადაგზა  
დადგმულია საჯღომები ავადმყოფთა დასასვენებლად.



უწერა. წყარო „გვერიტა“ (№ 1)

ჩატარებულ ჰიდროგეოლოგიურ წინასწარი სადაზ-  
ვერვო-საძიებო სამუშაოებიდან გამორკვეულია, რომ  
უწერის წყარო № 1 გამოდის ზემო იურის მერგელო-  
ვან ფიქლებიდან მდ. რიონის მარცხენა შენაკად გვერ-  
დულას შესართავიდან. დამტკიცებულია, რომ ამ წყა-  
როს ღებიტის რყევადობა დაკავშირებულია მდ. რიო-  
ნის დონის ცვალებადობასთან, მაშინ, როდესაც მისი მი-  
წერალიზაცია საკმარისად მუდმივია. მდ. რიონის მარ-  
ცხენავე მხარეზე მდ. გვერდულას შესართავთან შვიდი  
მეტრი სიღრმის საძიებო ჭაბურღილი № 4-დან № 1  
წყაროს ტიპის მხოლოდ ნაკლები მიწერალიზაციის მი-

ნერალური წყლის მიღება, ჰიდროგეოლოგების აზრით მაჩვენებელია იმის, რომ მაღალი მინერალიზაციის მქონე წყლების ცირკულაცია უფრო ღრმა ქანებთან არის დაკავშირებული შუა იურის, ე. წ. პორფირიტების სერიის ნალექებთან, რომლებიც უწერის სამხრეთ-დასავლეთით ზრიან გავრცელებული და ზემოაღნიშნულ ფიქლების ქვეშ მდებარეობენ.

უწერას მთავარი სასმელი მინერალური წყლის (№ 1) პირველი ქიმიური ანალიზი გაკეთებული იყო ა. შტაკმანის მიერ 1892 წელს და პროფ. პეტრიაშვილის მიერ (ოდესაში) 1895 წელს. ამის შემდეგ გაკეთებულია მრავალი ქიმიური ანალიზები (რ. კუპცისის მიერ 1929 და 1934 წ. წ. პროფ. შალამბერიძის მიერ 1930 წ. დოც. შ. შარაშენიძის 1931 წ., დოც. ვ. ხუხიას მიერ 1938 წ. და საქ. კურორტოლოგიის ინსტიტუტის მთელ რიგ ქიმიკოსების მიერ).

აქვე მოგვყავს ქიმიური ანალიზების შედარებით ცხრილი უწერის მთავარი სასმელი წყარო № 1, ბორჯომის (წყარო № 1 ყოფ. ეკატერინეს), ვიშის, ნაბელავის (ჭაბურღილი № 1), რიცა-ავადხარას (აფხაზეთში) და საირმეს (ჭაბურღილი № 4) მინერალური წყლებისა.

უწერას მინერალური წყარო № 1 (გვერიტა) და მის ანალიზებში წყლების ქიმიური ანალიზები:

ობიექტების დასახელება	უ წ ე რ ა		
წყარო № და ანალიზის დრო	წყარო № 1 (გვერიტა)		
ანალიტიკოსი	რ. კუპცისი		
ტემპერატურა	11,0°		
დებეტი ლ-ში	400		
შემადგენლობა	გრ/ლ.	მ/გრ. მმკ.	მ/გრ. ექვ. ‰
კ ა ტ ი ო ნ ე ბ ი			
ამონიუმი N H <sub>4</sub> . . . . .	—	—	—
ნატრიუმი და კალიუმი Na <sup>+</sup> +K <sup>+</sup>	2,3499	102,03	82,84
კალციუმი Ca <sup>++</sup> . . . . .	0,2258	11,27	9,14
ბარიუმი Ba <sup>++</sup> . . . . .	0,0002	0,003	—

მაგნიუმი Mg"	0,1129	9,28	7,56
რკინა Fe".	0,0160	0,57	0,46
მანგანუმი Mn"	—	—	—
ლითიუმი Li.	—	—	—
სტრონციუმი Sr"	—	—	—
<hr/>			
ანიონები	—	123,153	100,0
ქლორი Cl'.	0,3900	10,990	8,92
ბრომი Br'.	0,0003	0,003	—
იოდი J'.	0,0004	0,003	—
სულფატი SO <sub>4</sub> "	0,0349	0,720	0,60
ჰიდროფოსფატი HPO <sub>4</sub> '	0,0031	0,060	0,04
აზოტი NO <sub>3</sub> '	0,0045	0,070	0,04
ჰიდროარსენატი HAsO <sub>4</sub> "	—	—	—
ჰიდროკარბონატი HCO <sub>3</sub> '.	0,7989	111,43	90,40
<hr/>			
	—	123,276	100,0
კაჟის სიმჟავე H <sub>2</sub> SiO <sub>2</sub> '.	0,0360	—	—
ალუმინის ჯაჭვი Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	0,0044	—	—
<hr/>			
საერთო მინერალიზაცია.	9,9773	—	—
<hr/>			
ნახშირორქანგი თავისუფალი-CO <sub>2</sub>	1,1	—	—

დოც. შ. შარაშენიძის და დოც. ვ. ხუზიას 1938 წელში ჩატარებულ ანალიზების მიხედვით თავისუფალი ნახშირორქანგის რაოდენობა ამ წყალში უდრის 2,1 გრ/ლ.

ობიექტების დასახელება	ბორჯომი		
წყაროს № და ანალიზის დრო	წყარო № 1 (ყოფ. ეკატერინეს 1935 წ.)		
ანალიტიკოსი	კრივოშია		
ტემპერატურა	29,0°		
დებიტი ლ-ში	40000		
შემადგენლობა	გრ/ლ.	მგრ. ზმგ.	მგრ. ემგ. %/‰
<b>კ ა ტ ი ო ნ ე ბ ი:</b>			
ამონიუმი.	0,0056	0,31	0,41
ნატრიუმი და კალიუმი.	1,5283	65,45	88,64
კალციუმი	0,1039	5,19	6,92
ბარიუმი . . . . .	—	—	—
მაგნიუმი . . . . .	0,0357	2,94	3,92
რკინა . . . . .	0,0023	0,08	0,11
მანგანუმი.	—	—	—
ლითიუმი . . . . .	—	—	—
სტრონციუმი.	—	—	—
	—	74,97	100,00
<b>ა ნ ი ო ნ ე ბ ი:</b>			
ქლორი.	0,3870	10,91	14,55
ბრომი . . . . .	0,0016	0,008	0,01
იოდი . . . . .	0,0003	0,002	—
სულფატი.	0,0028	0,06	0,08
ჰიდროფოსფატი .	—	—	—
აზოტი . . . . .	0,0006	0,01	0,01
ჰიდროარსენატი .	—	—	—
ჰიდროკარბონატი	3,9041	63,99	85,35
	—	74,98	100,000
კაჟის სიმჟავე	0,0428	—	—
ალუმინის ჟანგი .	0,0116	—	—
საერთო მინერალიზაცია.	6,0266	—	—
ნაზშირმჟავა თავისუფალი.	1,2	—	—

ობიექტების და- სახელება	რიცა-ავათხარა			ვიში		
წყაროს № და ანალიზის დრო	წყარო № 1			წყარო Grand grill		
ანალიტიკოსი	ე. კარსტენს			ვილი		
ტემპერატურა	11,6°			41,8°		
დებიტი ლ-ში		8000			—	
შემადგენლობა	გრ/ლ.	მ/გრ. ექვ.	მ/გრ. ექვ. 0/0/0	გრ/ლ.	მ/გრ. ექვ.	მ/გრ. ექვ. 0/0/0
<b>კატიონები:</b>						
ამონიუმი . . . . .	—	—	—	—	—	—
ნატრიუმი და კალიუმი . . . . .	1,1755	50,00	69,4	2,0203	85,33	92,2
კალციუმი . . . . .	0,2573	12,82	17,7	0,0889	4,44	4,9
ბარიუმი . . . . .	—	—	—	—	—	—
მაგნიუმი . . . . .	0,1080	8,86	12,2	0,0116	0,95	1,0
რკინა . . . . .	0,0120	0,42	0,6	0,0112	0,04	0,1
მანგანუმი . . . . .	—	—	—	—	—	—
ლითიუმი . . . . .	0,0006	0,08	0,1	0,0045	0,45	0,5
სტრონციუმი . . . . .	—	—	—	0,0125	0,28	0,3
<b>ანიონები:</b>						
ქლორი . . . . .	0,0914	2,57	3,56	0,3458	9,76	10,7
ბრომი . . . . .	—	—	—	—	—	—
იოდი . . . . .	—	—	—	—	—	—
სულფატი . . . . .	0,0081	0,16	0,22	0,1826	3,80	4,2
ჰიდროფოსფატი	—	—	—	0,0880	1,83	2,0
აზოტი . . . . .	—	—	—	—	—	—
ჰიდროთარსენატი	—	—	—	0,0002	0,03	0,1
ჰიდროკარბონა- ტი . . . . .	4,2376	69,46	96,22	4,6402	76,05	83,0
<b>სულფურის შემცვენი:</b>						
—	—	72,19	100,00	—	92,47	100,00
კაქის სიმჟავე . . . . .	0,0390	—	—	0,0700	—	—
ალუმინის ჟანგი	—	—	—	—	—	—
საერთო მინერა- ლიზაცია . . . . .	5,9131	—	—	7,3944	—	—
ნახშირმჟავა თა- ვისუფალი . . . . .	1,6	—	—	0,85	—	—



ობიექტების და- სახელება	ნაბეღლავი	ს ა ი რ მ ე
წყაროს № და ანა- ლიზის დრო	მექ. ბურლ. № 1 1939 წ.	ბურლილი № 4 1939 წ.
ანალიტიკოსი	ნ. ბრეგვაძე	ნ. ბრეგვაძე
ტემპერატურა	13,5°	10,2°
დებეტი ლ-ში	65000	3300

შემადგენლობა	გრ/ლ.	მ'გრ. ექვ.	მ'გრ. ექვ. %/o/o	გრ/ლ.	მ'გრ. ექვ.	მ'გრ. ექვ. %/o/o
--------------	-------	---------------	------------------------	-------	---------------	------------------------

კატეგორიები:						
ამონიუმის . . . . .	—	—	—	მცირე კვალი	—	—
ნატრიუმის და კალიუმის . . . . .	1,9972	86,33	75,71	2,0452	86,52	74,7
ალკალიუმის . . . . .	0,2102	10,51	9,22	0,3120	15,60	13,45
ბარიუმის . . . . .	არ არის	—	—	—	—	—
მაგნიუმის . . . . .	0,2040	16,77	14,70	0,1655	13,61	11,76
კალციუმის . . . . .	0,0097	0,34	0,30	0,0020	0,07	0,05
მანგანუმის . . . . .	0,0020	0,08	0,07	0,0002	—	—
ლითიუმის . . . . .	—	—	—	—	—	—
სტრონციუმის . . . . .	—	—	—	—	—	—

ანიონები:						
კლორი . . . . .	—	114,03	100,0	—	115,80	100,0
ბრომი . . . . .	0,1737	4,90	4,30	0,7512	20,90	18,05
იოდი . . . . .	კვალი	—	—	კვალი	—	—
სულფატი . . . . .	0,0002	—	—	0,0002	—	—
სულფატი . . . . .	0,2604	5,37	4,71	0,1073	2,26	1,96
ჰიდროფოსფატი . . . . .	0,0003	—	—	0,0001	—	—
აზოტი . . . . .	—	—	—	—	—	—
ჰიდროოქსიდის . . . . .	—	—	—	—	—	—
ჰიდროკარბონა- ტი . . . . .	6,3257	103,70	90,99	5,6486	92,60	79,99

	—	113,97	100,0	—	115,76	100,0
კაქის სიმკვავე . . . . .	0,1000	—	—	0,0094	—	—
ალუმინის ჟანგი . . . . .	0,0050	—	—	0,0050	—	—
საერთო მინერა- ლიზაცია . . . . .	9,2884	—	—	9,0472	—	—

ნახშირმჟავა თა- ვისუფალი . . . . .	1,8	—	—	—	—	—
---------------------------------------	-----	---	---	---	---	---

2. უწყვერ

საქართველოს  
სტატისტიკის  
სამსახური  
170  
ბიზნისის



როგორც მოყვანილ ანალიზებიდან ჩანს, ყველა ეს წყაროები და მათ შორის უწერას № 1 წყაროს წყალს ეკუთვნის, უკანასკნელი კლასიფიკაციის მიხედვით (პროფ. ალექსანდროვი) ჰიდროკარბონატულ კლასის ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან წყლების ჯგუფს. ანალიზთა ცხრილიდან ჩანს აგრეთვე, რომ ჩამოთვლილ წყლების მინერალიზაციის წამყვანი ელემენტები ერთიდაიგივეა—ჰიდროკარბონატი ( $\text{HCO}_3$ ), ნატრიუმი ( $\text{Na}$ ) და გაზებიდან—ნახშირმჟავა ( $\text{CO}_2$ ).

უწერას № 1 წყაროს წყალი თავისი მინერალიზაციით ყველა თავის ანალოგებზე მაღლა დგას, მისი საერთო მინერალიზაცია აღწევს 9,99 გრამს ლიტრში, მაშინ, როდესაც ბორჯომის მთავარი წყარო № 1 (ყოფ ეკატერინეს) წყლის მინერალიზაცია უდრის 6,0, ვიშის—7,4, ნაბელავის—9,3, საირმეს (ბურღილი № 4)—9,0 და რიცა-ავადხარას (№ 1) 5,9 გრ/ლ. თავისუფალ ნახშირმჟავა გაზს უწერის № 1 წყაროს წყალი შეიცავს საგრძნობი რაოდენობით (1,1 გრამი ლიტრში<sup>1</sup>).

ყურადღებია ის მდგომარეობა, რომ უწერის № 1 წყაროს წყალი შეიცავს ბრომს და იოდს 0,0003 და 0,0004 (დოც. ვ. ხუხიას 1938 წლის ანალიზით კი 0,0024 და 0,00075), მაშინ, როდესაც სხვა ამავე ჯგუფის წყლები ან სულ არ შეიცავენ ამ მეტად მნიშვნელოვან ელემენტებს, ან შეიცავენ გაცილებით მცირე რაოდენობით. აღსანიშნავია ის მდგომარეობაც, რომ უწერას № 1 წყაროს წყალი შეიცავს აქტიურ რკინას 16 მილიგრამის რაოდენობით ერთ ლიტრში და ამ მხრივ იგი ყველა ზემოხსენებულ ჯგუფის წყლებზე

<sup>1</sup> დოც. შ. შარაშენიძის და დოც. ვ. ხუხიას ანალიზების მიხედვით (1938 წ.) თავისუფალი ნახშირორჟანგის რაოდენობა აღწევს 2,1 გრ/ლ.

მალა დგას. რა თქმა უნდა სხვადასხვა მინერალური წყლების მარილოვან ან იონურ შემადგენლობაში არსებული ზოგიერთი განსხვავებები არ სწყვეტენ საკითხს ამ წყლების ამათუ იმ დაავადების მეტი ან ნაკლები სამკურნალო ეფექტიანობის შესახებ, ვინაიდან ამავე წყლებში შემავალ ცალკეულ მარილთა და სპეციფიურ იონთა გავლენის ცოდნას არ შეუძლია მოგვცეს სრული წარმოდგენა წყლის კომპლექსურ მოქმედებაზე, რადგან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული იმ ზოგიერთი იშვიათ იონების მოქმედების შესაძლებლობა, რომლებიც ნაწილობრავ აღმოჩენილნი არიან ამათუ იმ მინერალურ წყალში, ნაწილობრივ ჯერ აღმოჩენილნიც არ არიან. თუმცა იმყოფებიან მასში.

მდ. რიონის მარჯვენა მხარეზეც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მრავალი მინერალური წყაროები ჰპოვებენ გამოსავლებს. ეს წყლები, როგორც ფიზიკურ ქიმიურ ანალიზთა მონაცემებიდან ჩანს, ძირითადად ერთი ტიპის არიან, ამის გამო ჩვენ შევჩერდებით ამ ჯგუფის მხოლოდ მთავარ წარმომადგენლებზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ზოგი მათგანი, როგორც, მაგალითად, შოუბნის, ლაჩტის და ჭალის მინერალური წყაროები თუმცა ტერიტორიალურად საკმაოდ დაშორებული არიან კურორტ უწერას, მაგრამ მაინც ამ რაიონის წყაროებს მიეკუთვნებიან და თავიანთი ფიზიკური და ქიმიური თვისებებით უწერაში მდ. რიონის მარჯვენა მხარეზე არსებულ მთავარ წყაროებს უახლოვდებიან.

ამ ჯგუფის მრავალ მინერალურ წყაროებიდან ჩვენ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მათ მთავარ წარმომადგენლებს: წყარო № 2 და № 10, რომელთა ფიზიკურ-ქიმიური ანალიზთა მონაცემები მოგვყავს ქვევით.

წყარო № 2 მოთავსებულია მდ. რიონის მარჯვენა მხარეზე. ამ წყაროს წყალი იხმარება უმთავრესად აბა-

ზანების სახით. აქ არსებულ ქვის სააბაზანო შენობაში მოთავსებულია სამი აბაზანა. მინერალური წყალი გამოდის მთის ფერდობიდან და გროვდება აუზში, რომელიც მილის საშუალებით უერთდება ლითონის დიდ ქვებს. საიდანაც გამთბარი წყალი მილებისვე საშუალებით ჩადის აბაზანაში.

№ 2 წყაროდან დაახლოვებით 30—40 მეტრის მანძილზე გამოდის წყარო № 3. ეს წყარო, მის გვერდით მდებარე № 4 წყაროსთან ერთად, გამოდის ოდნავ დაქანებულ ფერდობიდან. წყარო № 4-თან დარჩენილია ბეტონის საფუძველი—ოდესღაც არსებულ აბაზანის ნაშთი.

წყარო № 10 მდებარეობს ქვედა უწერაში მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე. მასზე მოწყობილია პატარა აუზი, საიდანაც ადგილობრივი მოსახლეობა ფართე იყენებს მას, როგორც სასიამოვნო სასმელ წყალს.

წყარო № 2 (უწერა)

დებიტი 24 საათში ლ-ში	4,004
ტემპერატურა	11,7°
ფიზიკო - ქიმიკოსი	შ. შარაშენიძე
მშრალი ნაშთი 110° გრამებში 1 ლიტ.	1,311
მშრალი ნაშთი გახურების შემდეგ	1,139

	გრამებში	მილიგრ. პკვივალ.	პკვივალ. %/%
კატიონები:			
ნატრიუმ-კალიუმი . . . . .	0,006	9,26	0,06
მაგნიუმი . . . . .	0,020	1,61	2,95
კალციუმი . . . . .	0,473	23,50	42,70
რკინა . . . . .	0,018	0,64	1,11
ალუმინი . . . . .	0,016	1,74	3,18
ჯამი . . . . .	—	27,75	50%

ანიონები:			
ჰიდროკარბონატი . . . . .	1,700	26,57	47,87
სულფატი . . . . .	0,046	0,96	1,72
ქლორი . . . . .	0,007	0,22	0,41
ჯამი . . . . .	—	27,75	50%

კაჟის სიმკვლე . . . . .	0,0643	—	—
ნახშირმკვლე თავისუფალი . . . . .	1,630	—	—
pH . . . . .	6,62		
რადიოაქტიუობა . . . . .	0,88 $\frac{e.m.}{L}$		

კურლოვის ფორმულა:  $Co_2 16, Fe 0,018 M 1,3 \frac{HCO_3 48}{Ca 43} t^{11,7} D 4304$

დახასიათება კალმერით

1. მარილიანობა . . . . .	0,12
2. " . . . . .	4,14
1. ტუტიანობა . . . . .	0,00
2. " . . . . .	87,12
3. " . . . . .	8,62
	100%



წყარო № 10 (ქვემო უწერა)

დებეტი 24 საათში ლ-ში	3000 ლიტრი
ტემპერატურა	12,6°
ფიზიკო-ქიმიკოსი	ზ. შარაშენიძე
მშრალი ნაშთი გრამებში ერთ ლიტრზე 110 გრ.	1,850
მშრალი ნაშთი გახურების შემდეგ	1,490

კატეგორია	გრამებში	მილიგრამ ექვივალ.	ექვივალ. %/‰
<b>კატეგორიები:</b>			
ნატრიუმ-კალიუმი . . . . .	0,368	16,01	23,89
მაგნიუმი . . . . .	0,034	2,79	4,16
კალციუმი . . . . .	0,222	10,08	15,04
რკინა . . . . .	0,018	0,64	0,96
ალუმინი . . . . .	0,036	3,99	5,95
<b>ჯამი . . . . .</b>	—	33,51	50,00‰
<b>ანიონები:</b>			
ჰიდროკარბონატი . . . . .	1,959	32,15	47,95
სულფატი . . . . .	0,026	0,54	0,82
ქლორი . . . . .	0,029	0,82	1,23
<b>ჯამი . . . . .</b>	—	33,51	50,00‰
კაჟის სიმუყე . . . . .	0,0128		
ნახშირმჟავა თავისუფალი . . . . .	18,04		
რეაქცია (pH) . . . . .	6,6		
რადიოაქტიურობა . . . . .	1,32		

კურლოვის ფორმულა:  $Co_2,18 Fe0,018 M 1,8 Ca_{15}Na_{23}HCO_3^{47} F^{12,6}D^{3000}$

დაბასიათება პალმერით:

1. მარილიანობა . . . . .	4,10
2. " . . . . .	0,00
1. ტუტეიანობა . . . . .	43,66
2. " . . . . .	38,10
3. " . . . . .	14,14
	<b>100%</b>

როგორც ფიზიკურ-ქიმიურ ანალიზების მონაცემებიდან ჩანს, ამ ჯგუფის წყაროების წყლები, მიუხედავად მათი შედარებით სუსტი საერთო მინერალიზაციისა, შეიცავენ საგრძნობი რაოდენობით ნახშირმჟავა გაზს ( $CO_2$ ), აქტიურ რკინას (Fe), ჰიდროკარბონატ იონს ( $HCO_3$ ), კალციუმს (Ca) და ზოგიერთი მათგანი, ამავე დროს შეიცავს ნატრიუმის (Na) მნიშვნელოვან რაოდენობას. ეს წყლები მიეკუთვნებიან ნახშირმჟავარკინოვან-ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან წყლების ჯგუფს, მაგრამ ზოგიერთ მათგანში კალციუმის იონთან ერთად ჭარბი რაოდენობით ღებულობს მონაწილეობას ნატრიუმის იონები. აღნიშნულ ელემენტთა მეტ-ნაკლებობა და სხვადასხვა ურთიერთ დამოკიდებულება მინერალურ წყლებში იწვევს ორგანიზმზე მათი ფიზიოლოგიური მოქმედების სხვადასხვაობას და აქედან გასაგებია ის უპირატესობა, რომელიც ენიჭება ამათუიმ მინერალურ წყალს გარკვეულ დაავადებათა მკურნალობის საქმეში.

### უწერას მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, უწერა თავისი ბუნებრივი სამკურნალო ძალებით ცნობილი ყოფილა შორეულ წარსულიდან. ამ ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორთა შორის წამყვანი ადგილი ეჭირა მის მინერალურ წყლებს და ამათში პირველ რიგში მისი ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან-რკინიან წყარო № 1-ის წყალს. ამ წყალს ხმარობდნენ სამკურნალოდ ადგილობრივი მცხოვრებლები საქმლის მომნელებელ ორგანოების დაავადებათა შემთხვევებში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში.

პირველი ინიციატივა უწერის ბუნებრივი ფაქტორების სამკურნალოდ გამოყენებისათვის, ეკუთვნის ივანე გამყრელიძეს, რომელსაც გამოუწვევია სპეციალური საექიმო კომისია ამ სამკურნალო ადგილის შესამოწმებლად<sup>1</sup>, ამის შემდეგ მას აუგია წყარო № 1-ზე ქვის აუზი და ფარდული საჯდომებით ავადმყოფთა

<sup>1</sup> დ.ო. გ. ადამიას მოხსენებიდან — „კურორტი უწერა“.

დასასვენებლად. გაუყვანია რიონზე ხიდი და ბა-  
ლიკი წყაროსთან მისასვლელი. მისი ინიციატივით  
აგებულია მდინარე რიონის მეორე მხარეზე (მარჯ-  
ვენა) რკინიან წყაროებთან—ქვის აბაზანის ორი შე-  
ნობა, აგებულია ადგილობრივი მცხოვრებლების მი-  
ერ საცხოვრებელი ბინები. ამ ღონისძიებათა ჩატარე-  
ბის შედეგად სწრაფად იზრდება უწერაში სამკურნა-  
ლოდ ჩამოსულთა რაოდენობა, ავადმყოფები ჩამოდიან  
საქართველოს ყველა კუთხიდან და შედარებით წესიერ  
პირობებში იყენებენ სამკურნალოდ უწერის მინერა-  
ლურ წყლებს, როგორც სმის, ისე აბაზანების სახით.

უწერის ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუ-  
მიანი (ტუტე-ნახშირმჟავა) წყლების მაღალი სამკურნა-  
ლო ეფექტიანობა, განსაკუთრებით საჭმლის მომწელებ-  
ელ ორგანოთა დაავადებას დროს, იმდენად ცხადი და  
უდაოდ ხდება, რომ საფრანგეთის ერთერთი საზოგადო-  
ებობა ცდილობს 1913-14 წლებში ამ წყაროების  
იჯარით აღებას 45 წლის ვადით, წყლის ჩამოსხმისა და  
საფრანგეთში ექსპორტირების მიზნით; მაგრამ მიუხე-  
დავად იმისა, რომ ეს საზოგადოება იძლეოდა ყოველ  
წლიურად იჯარის საფასურად 20,000 მანეთს, ვინაიდან  
ამის შემდეგ ეს საზოგადოება ხდებოდა წყლების სრულ-  
ლი ბატონ-პატრონი და საქართველოს მოსახლეობა  
რჩებოდა ამ წყლით სარგებლობის გარეშე, მაშინდელ  
წყლის მესაკუთრე ი. გამყრელიძეს უარი განუცხადებია  
ასეთ ხელშეკრულებაზე. აქედან ცხადია, თუ  
რადიდ სამკურნალო ღირებულებას ანიჭებდა ეს სა-  
ზოგადოება უწერის მინერალურ წყალს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკარგე-  
ბამდე, მიუხედავად იმისა, რომ უწერას სამკურნალოდ  
ეტანებოდა მრავალი ავადმყოფი და მას უკვე ჰქონდა  
მოხვეჭილი მაღალხარისხიანი სამკურნალო ადგილის  
სახელი, მის სამკურნალო ფაქტორების შესწავლაზე  
არავის უზრუნვია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში  
ორიოდე ქიმიურ ანალიზს ჩატარებულს შტაკმანი-  
სა და პროფ. პეტრიაშვილის მიერ.

1931 წელს უწერაში იგზავნება ჰიდრო-გეოლოგიუ-  
რი პარტია გეოლოგ მ. ფაღავას და ქიმიკოს შ. შა-



რ ა შ ე ნ ი ძ ი ს შემადგენლობით, რომლებიც იძლევიან ამ რაიონის წინასწარი საძიებო სამუშაოების შედეგად რაიონის ჰიდრო-გეოლოგიურ და მინერალურ წყლების ფიზიკურ-ქიმიურ დახასიათებას.

ამავე წლებში საქ. კურორტოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებულია ექსპერიმენტული დაკვირვება (დოც. მ. ტყეშელაშვილი) უწერას მინერალური წყარო № 1 (გვერიტა) წყლის კუჭის სეკრეტორულ ფუნქციაზე გავლენის შესასწავლად. ცდები ჩატარებულია ბოთლებში ჩამოსხმულ, თბილისში ჩამოტანილ მინერალური წყლით პავლოვის მეთოდით გამოყოფილ მცირე კუჭიან ძაღლზე.

ავტორის მიერ ჩატარებულია სამი სერიის ცდა. პირველ სერიის ცდებში გამოკვლეულია უზმოზე მიცემულ მინერალური წყლის გავლენა კუჭის სეკრეციაზე შედარებით წყალსადენის წყალთან.

მეორე სერიის ცდების დროს საექსპერიმენტო ცხოველს ეძლეოდა მინერალური წყალი ერთი საათით ადრე საჭმელის წინ და შესადარებლად ასეთივე წესით წყალსადენის წყალი.

ცდების მესამე სერიაში ამავე ცხოველს ეძლეოდა უწერის მინერალური წყალი საჭმელთან ერთად და შესადარებლად კი წყალსადენის წყალი ასეთივე წესით.

აღნიშნულ ცდების შედეგად ავტორს გამოაქვს შემდეგი დასკვნები: უზმოზე მიცემული უწერის მადნეული (მინერალური) წყალი, წყალსადენის წყალთან შედარებით, აქვეითებს კუჭის სეკრეციას, სეკრეტორულ პერიოდის ხანგრძლივობას ამცირებს და კუჭის წვენიან მყავიანობას აქვეითებს, ხოლო სეკრეციის ფარული პერიოდი მატულობს.

საჭმელთან ერთად მიღებული იგივე მადნეული წყალი აძლიერებს კუჭის სეკრეციას, მხოლოდ სეკრეტორული პერიოდი შედარებით საჭმელ ნივთიერების პერიოდთან შემცირებულია.

საჭმლის ერთი საათით წინ მიღებული იგივე მადნეული წყალი აქვეითებს კუჭის სეკრეციას.

ამავე ავტორის დასკვნით, იმის გამო, რომ უწერის მადნეული წყალი აქვეითებს კუჭის სეკრეტორულ

ფუნქციას, შესაძლებელია თერაპიული მიზნით მისი დანიშვნა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული წყლულებისა და მკავე გასტრიტების სამკურნალოდ.

დოც. გ. ადამია 1934 და 1935 წლების ზაფხულის სეზონების განმავლობაში ატარებდა კლინიკურ დაკვირვებებს, უწერის ნახშირმკავე ჰიდროკარბონატულ ნატრიუმთან წყლით მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობის ეფექტიანობის შესწავლის მიზნით. დაკვირვების ობიექტთა შორის, გამოყოფილი იყო ღარი ჯგუფი ავადმყოფთა, რომელთაც ჰქონდათ საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაავადება.

მიღებულ შედეგების საფუძველზე ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ უწერის მინერალური წყალი, როგორც ზედმიწევნით მდიდარი ნატრიუმის ბიკარბონატით (სოდით), კარგად მოქმედებს კუჭ-ნაწლავების ღვიძლისა და ნაღველის ბუშტის დაავადების დროს; ასეთ დადებით მოქმედებას ავტორი ხსნის უწერის მადნეული წყლის ყველა შემადგენელი ნაწილების კომპლექსური გავლენით, მაგრამ უმთავრეს მნიშვნელობას აძლევს მასში ნატრიუმის ბიკარბონატის დიდი რაოდენობის არსებობას.

ამავე დროს ავტორი აღნიშნავს, რომ საჭმლის მიღების წინ ეს მინერალური წყალი ანელებს კუჭის სეკრეტორულ ფუნქციას და საგრძნობლად აქვეითებს კუჭის წვენი მომატიბულ სიმკავეიანობას.

უწერის ტუტე წყალის უზმოზე მიღება იწვევს კუჭის ლორწოვან გარსის გასუფთაებას, გარიცხვას და ლორწოს გახსნას. ავტორი ამ თვისებებით ხსნის უწერის მადნეული წყალის ზედმიწევნით ეფექტიურ გავლენას ავადმყოფზე კუჭის ქრონიკული მკავე კატარებასა და კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულების დროს. ავტორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ უწერის შემთბარი წყალით კუჭის გამორიცხვა კარგად მოქმედებდა კუჭის ყველა სახის კატარების დროს. ასეთივე დადებით შედეგს იძლევა ავტორის დასკვნით, უწერის მინერალური წყალი ღვიძლისა და ნაღველის ბუშტის ანთებად დაავადებათა მკურნალობის დროს; კუჭის უცნ-

ქიონალური ნევროზების დროს (მომატებული მე-  
ვიანობა და მომატებული სეკრეცია), მის ორგანიზმს  
დაავადებებთან შედარებით, უწერის მინერალური  
წყალი სუსტად მოქმედობს.

ავტორის აზრით უწერაში არ გაიგზავნებიან ისეთი  
ავადყოფები, რომელნიც დაავადებულნი არიან კუჭისა,  
და თორმეტგოჯა ნაწლავის სისხლის დენით, გამწვავე-  
ბული წყლულებით და აგრეთვე პილორუსის შორწა-  
სული სტენოზებით.

განსაკუთრებით საგულისხმო დამაკმაყოფილებე-  
ლი ეფექტია მიღებული დოც. გ. ა დ ა მ ი ა ს მიერ კუ-  
ჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული წყლულებ-  
ის ჰიპერაციდური ფორმებისა და აგრეთვე კუჭის მე-  
ვე კატარების დეგაზირებული შემთხარი უწერის ტუ-  
ტე-ნახშირმჟავა წყალით მკურნალობის შედეგად, ასეთ  
შემთხვევებში კატარალურ-დისპეპსიურ და სხვა არა  
სასიამოვნო სუბიექტურ მოვლენათა გაქრობის პარალე-  
ლურად კუჭის წვენის მეავიანობა უქვეითდებოდა.  
ავადყოფთა 85%-ს.

ამავე ავტორის დაკვირვებით უწერის წყალი დამა-  
კმაყოფილებელ სამკურნალო ეფექტს იძლევა ქრონი-  
კული კოლიტების, საშარდე ორგანოთა დაავადებისა და  
აგრეთვე ქრონიკული ბრონქიტების დროს.

უწერაში მდ. რიონის მარჯვენა მხარეზე არსებული  
მინერალური წყაროების რიონოვან-ნახშირმჟავა-ჰიდ-  
როკარბონატულ-კალციუმიან წყალს ფართოდ და დამა-  
კმაყოფილებელი ეფექტიანობით ხმარობენ თბილისა და  
ზანების სახით მთელ რიგ დაავადებათა სამკურნალოდ  
(სახსრების ქრონიკული ანთებადი პროცესები, პერიფე-  
რული ნერვული სისტემის დაავადებანი, ნევრალგიე-  
ბი, ნევრიტები, ნევრალტენია, ქალთა სასქესო ორგა-  
ნების ქრონიკული ანთებადი პროცესები და სხვა).

ეს წყალი იხმარება სამკურნალოდ არა მარტო აბა-  
ზანების სახით, არამედ სმის სახითაც. განსაკუთრებით  
მეორადი ზასიათის სისხლნაკლოვანების დროს.

ამ მოკლე მიმოხილვით, თითქმის ამოწურულად უნ-  
და ჩაითვალოს უწერის მინერალური წყლების შესახებ  
არსებული ექსპერიმენტულ-კლინიკურ დაკვირვებათა

მასალები, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არაა იმისათვის, რომ საბოლოო დასკვნა გამოვიტანოთ ამ წყლების ყოველმხრივ ფიზიოლოგიურ მოქმედებაზე, ანდა სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალო ეფექტიანობაზე. ყოველ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ექსპერიმენტულ-კლინიკურ მასალებზე და ამავე ტიპის მინერალურ წყლების მიმართ სხვადასხვა ავტორების მიერ ჩატარებულ ანალოგიურ ექსპერიმენტულ და კლინიკურ დაკვირვებათა შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია გამომუშავებული იქნას კურორტ უწერისა და, კერძოდ, მისი მინერალური წყლებით მკურნალობის ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი.

ზემომოყვანილ ფიზიკურ-ქიმიურ ანალიზთა ცხრილებმა ჩვენ დაგვარწმუნა, რომ უწერის № 1 (გვერცთა) წყაროს წყალი ეკუთვნის არსებული კლასიფიკაციის მიხედვით. იმავე კლასს და იმავე ჯგუფს (ჰიდროკარბონატულ კლასის ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმთან ჯგუფს) რომელსაც ეკუთვნის მსოფლიოში განთქმული ბორჯომისა და ვიშის (საფრანგეთი) წყლები და აგრეთვე საქართველოში კიდევ ნაბეღლავის, რიცა-ავადხარას (აფხაზეთში) და კურორტ საირმეს № 4 ჭაბურღილის წყალი.

თუ გადავხედავთ აღნიშნულ წყალთა შესახებ სხვადასხვა ავტორების მიერ წარმოებულ დაკვირვებათა თანამედროვე ლიტერატურულ მასალებს ამ წყლების კუჭის სეკრეტორულ ფუნქციაზე გავლენის შესახებ (ა. ალადაშვილი, ბიკელი, მ. ტყემალაძე, ვ. გერსამია და ვ. პიროშკოვი, ი. პარმა, ლიდსკაია, მ. ლეჟავა, ა. ქაჯაია, ლოპაჩუკი და ვოლინა, დ. ჯავახიშვილი და მ. მელიქიშვილი, თ. ავალიშვილი, მ. ნოდია). დავრწმუნდებით, რომ ამ მასალების მონაცემები მთლანად ემთხვევიან დოც. მ. ტყემალაძის და დოც. ვ. ადამიას მიერ მიღებულ ანალოგიურ დაკვირვებათა შედეგებს უწერის მინერალური წყლის (№ 1) მიმართ.

ზემოჩამოთვლილმა ავტორებმაც ნახშირმჟავა-ჰიდ-

როკარბონატულ ნატრიუმთან ჯგუფის წყლების (ბორ-  
ჯომი, ნაბელავი, რიცა-ავადხარა) უზმოზე ან 1 საათით  
ჭამის წინ მიცემის შედეგად მიიღეს კუჭის სეკრეციისა  
და მისი წვენის, როგორც ზოგადი მჟავადობის, ისე  
თავისუფალი მარილმჟავას რაოდენობის დაქვეითება.  
ამავე მინერალური წყლების საჭმელთან ერთად მიცე-  
მის შედეგად კი—აღნიშნულმა ავტორებმაც მიიღეს კუ-  
ჭის სეკრეციის გაძლიერება და კუჭის წვენში ზოგადი  
მჟავადობის და თავისუფალ მარილმჟავას ზრდა.

თავისთავად იბადება საკითხი—რით შეიძლება ავს-  
ნათ, რომ ერთდამავე რაოდენობისა და ტემპერატუ-  
რის ერთდამივე მინერალური წყალი, მიცემული უზ-  
მოზე, საჭმელთან ერთად, ან საჭმლის მიღების ერთი  
საათით წინ, სულ სხვადასხვა ფიზიოლოგიურ გავლენას  
იწვევს კუჭის სეკრეტორულ ფუნქციაზე და მინე-  
რალური წყლის რომელი შემადგენელი ნაწილი აწვევს  
ასეთ გავლენას.

როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, უწერის  
მთავარ მინერალურ წყაროს (№ 1) წყლის ქიმიურ შე-  
მადგენლობაში წამყვანი ადგილი უჭირავს ნატრიუმის  
ჰიდროკარბონატს (სოდას) და გაზს ნახშირორჟანგს.

ცნობილია, რომ ტუტე ხსნარები სწრაფად გადადი-  
ან კუჭიდან თორმეტგოჯა ნაწლავში და იქიდან აწვე-  
ვენ კუჭის სეკრეტორულ აპარატის ფუნქციის შეკავებას  
და ამის შედეგად კუჭის სეკრეციის შენელებას (ხი-  
ქინი, სობოროვი, ლონკვისტი, სავიჩი  
და ზელიონი, ბაბკინი). აქედან ცხადია, რომ  
უწერის მინერალური ტუტე-სოდისანი წყალი უზმოზე  
ან ჭამის ერთი საათით წინ მიღებული, იწვევს კუჭის  
სეკრეციის შენელებას, კუჭის წვენის მჟავადობის დაქ-  
ვეითებას და ამავე დროს კუჭის შიგთავსის განეიტრა-  
ლებას და სეკრეტორულ პერიოდის შემოკლებას.

საჭმელთან ერთად მიღებული უწერის მინერალური  
წყლის გავლენით, პირიქით, კუჭის სეკრეციისა და მისი  
წვენის მჟავადობის გაძლიერება კი აიხსნება შემდე-  
გი მოვლენით: როცა საჭმელთან ერთად მიღებული  
უწერის წყალი (ტუტე ხსნარი) დიდხანს რჩება კუჭში,

იგი იწვევს კუჭის წვენის გამოყოფას; ამ წვენში თავის  
სუფალ მარილმჟავასა და კუჭში შეყვანილ უწყურის მი-  
ნერალური წყალის მთავარი შემადგენელი ნაწილის—  
ნატრიუმის ჰიდროკარბონატს შორის წარმოიშობა შემ-  
დეგი რეაქცია:  $NaHCO_3 + HCl \rightarrow NaCl + H_2CO_3$

ეს უკანასკნელი კი, როგორც სუსტი მჟავა, იშლება:  
 $H_2CO_3 \rightarrow CO_2 + H_2O$ . ამგვარად აღნიშნულ რეაქციის  
შედეგად წარმოიშობა ნატრიუმქლორი და ნახშირორ-  
ჟანგი. ცნობილია, რომ ეს ორივე ნივთიერება  
იწვევს (პილორული მოქმედების შედეგად) კუჭის  
სეკრეციის გაძლიერებასა და მისი წვენის მუავადობის  
მომატებას (პ ი მ ე ნ ო ვ ი, ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი, პ ი კ ე-  
ლ ი, ლ ი დ ს კ ა ი ა და სხვა).

უწყერას ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ნატრიუ-  
მიანი წყალის კუჭის ევაკუატორულ ფუნქციაზე  
გავლენის შესწავლის მიზნით ჯერჯერობით არა-  
ვის უწარმოებია დაკვირვება. ამავე დროს არსე-  
ბულ ლიტერატურულ მასალებიდან ჩანს, რომ ავ-  
ტორები, რომელთაც კი უმუშავნიათ ნახშირმჟა-  
ვა ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან წყლების კუ-  
ჭის ევაკუატორულ ფუნქციაზე გავლენის შესწავლის  
მიზნით (ლ ო პ ა ჩ უ კ ი, ლ ო პ ე რ ი, ლ ი დ ს კ ა ი ა,  
ი. პ ა რ მ ა, ა. ქ ა ჯ ა ი ა, მ. ლ ე ყ ა ვ ა, ა ლ ე ქ ს ი ნ-  
დ რ ო ვ ს კ ი, დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი და მ. მ ე ლ ა ქ ი-  
შ ვ ი ლ ი, მ. ნ ო დ ი ა) მიდიან იმ დასკვნამდე, რომ აღ-  
ნიშნულ ჯგუფის წყლები (ბორჯომი, ვიში, ნაბეღლოვი,  
რიცა-ავადხარა) აჩქარებენ კუჭის ევაკუატორულ  
ფუნქციას, უნდა ვიფიქროთ, რომ უწყურის მინერალუ-  
რი წყალიც (წყარო № 1), როგორც ამავე ტიპის—ამავე  
ჯგუფის წყალი, უნდა აძლიერებდეს კუჭის აღნიშნულ  
ფუნქციას.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, კურორტი უწყერა ცნო-  
ბილია აგრეთვე თავისი ნახშირმჟავა რკინოვან-ჰიდრო-  
კარბონატულ-კალციუმიანი (წყარო № 2) და ნატრიუმ-  
კალციუმიანი (№ 1, № 2 და სხვა) წყლების წყაროების  
სიუხვით. მათ შორის ვხვდებით ცნობილ ვილდუნჯების  
(გერმანია) სხვადასხვა ტიპის წყლებს, როგორც ტუტე-  
მიწიანს, ისე ტუტე-რკინოვანს, წალვერის ტიპის ნახ-  
შირმჟავა - რკინოვან -ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან-

კალციუმიანს და აგრეთვე საირმეს ტიპის წყლებს, ხშირად რკინის მეტი რაოდენობით და ამავე დროს შედარებით დაბალი ზოგადი მინერალიზაციით. ყველა ამ წყლებით უწერაში ჩამოსული ავადმყოფები და დამსვენებლები ფართოდ სარგებლობენ, ხშირად მინერალურ წყლებით მკურნალობის ყოველივე წესების დაცვის გარეშე.

მთელ რიგ ექსპერიმენტულ ცდებიდან (ნორდენი, ილიაშევი, ბერგმანი და სხვა) ცნობილია, რომ პირის დრუდან მიღებული რკინა, შეიწოვება ნაწლავებიდან სისხლში, აღიზიანებს ძვლის ტვინს და იწვევს სისხლში ჰემოგლობინისა და სისხლის წითელი ბურთულების მომატებას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეორადი სისხლნაკლოვანებისა და ქლოროზის დროს.

როგორც ზემომოყვანილ მოკლე კლიმატურ დახასიათებიდან ჩანს, უწერა ამავე დროს წარმოადგენს მშვენიერს, მთის კლიმატურ სამკურნალო კურორტს.

მთელ რიგ ავტორების მიერ ჩატარებულ მეცნიერულ დაკვირვებათა შედეგად გამოვლინებულია მთის ჰავის მრავალმხრივი ფიზიოლოგიური მოქმედება ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციებზე, როგორც მაგალითად, სუნთქვაზე, სისხლის მიმოქცევაზე და მის განაწილებაზე, სისხლის წარმოშობაზე, ნივთიერებათა ცვლაზე და სხვა.

მთელ რიგ ექსპერიმენტულ ცდებით დამტკიცებულია, რომ მთის ჰავა მოქმედობს ძვლის ტვინის გამაღიზიანებლად, რის შედეგადაც ხდება სისხლის წითელი ბურთულების გამრავლება-ახლად წარმოშობა და ამავე დროს სისხლში ჰემოგლობინის მომატება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეორადი ხასიათის სისხლნაკლოვანებისა და ქლოროზის დროს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელ დაავადებათა მკურნალობის დროს მთის კლიმატისა და უწერის რკინოვან წყლების კომბინირებული მოქმედებამ უდაოდ უნდა მოგვცეს გაორკეცებული სამკურნალო ეფექტი.



უწერის ბალნეო-კლიმატური ფაქტორების სამკურნალოდ გამოყენება

